


დანართი #1



ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ –  
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

საკონკურსო განცხადება

საპროექტო მომსახურების – დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის  
განახლების სახელმწიფო შესყიდვა



## I. კონკურსის წინაპირობები

დედაქალაქის სივრცით-ტერიტორიული განვითარების მართვის ძირითადი დოკუმენტი "ქ. თბილისის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის" სახით, დამტკიცებულ იქნა ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის № 6-17 გადაწყვეტილებით.

კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის № 20-105 დადგენილებით, აღნიშნული დოკუმენტი დამტკიცდა, როგორც "დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა".

დოკუმენტი, რომელიც გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება GTZ-ის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურთიერთანამშრომლობის საზოგადოება და შესაბამისი საპროექტო დავალების საფუძველზე დამუშავდა, ითვალისწინებდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ოპერატიული ეტაპის – "მიწათსარგებლობის (ოპერატიული) გენერალური გეგმის" დამუშავებას მისი შემდგომი სრულყოფის აუცილებელი პირობით.

აღნიშნული აუცილებელი პირობა არ შესრულდა. მეტიც, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ოპერატიული ეტაპის დოკუმენტში ფიქსირებული მთელი რიგი რეკომენდაციები და მოსაზრებები, პრაქტიკულად არ იქნა გათვალისწინებული დედაქალაქის "პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის" 2009-2014 წლების მოქმედების პერიოდში.

მმართველობის მყისიერ გადაწყვეტებზე "გენგეგმის" მორგების პერმანენტულმა პროცესმა დაარღვია მოქმედი დოკუმენტის მთლიანობა, დაშალა იგი ისეთ ცალკეულ ფრაგმენტებად, რომელთა მართვისთვისაც ადმინისტრაციის დისკრეციული უფლებამოსილების ზრდა "ობიექტურ მოვლენად" იქცა.

ოპერატიული დოკუმენტის "გამოყენებით" დაიწყო და დამკვიდრდა ცალკეულ მიწის ნაკვეთებზე სამშენებლო პარამეტრების დადგენის გაუმართლებელი პრაქტიკა, ხოლო მისი პოზიციების იგნორირებით – მსხვილმასშტაბიანი მშენებლობების განხორციელება.


დოკუმენტის მიმართ განხორციელებულმა ძალისხმევებმა გარკვეული ზიანი მიაყენა მის შესაძლებლობებს, ადეკვატური პასუხი გასცეს ქალაქგანვითარების მიმდინარე პროცესების საჭიროებებსა და გამოწვევებს.

ამასთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის სისტემური რევიზიისა და განახლების საკითხი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა 2014 წლის ბოლოს (მოწვეული ექსპერტების დახმარებით) დაიწყო 2009 წლის დოკუმენტის კვლევა-ანალიზი.

2015 წლის დასაწყისში დასრულებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ „თბილისის 2009 წლის გენგეგმა“ არ წარმოადგენს სრულყოფილ, ყოვლისმომცველ და, შესაბამისად, რელევანტურ დოკუმენტს დედაქალაქის სივრცითი განვითარების უზრუნველსაყოფად გრძელვადიან პერიოდში, შემდეგი ძირითადი მიზეზების გამო:

- დოკუმენტს ახასიათებს ჭარბი დეკლარატიულობა და მოკლებულია პრიორიტეტებისა და დებულებების განხორციელების გზების მითითებას;
- ის არ ასახავს (არ ეყრდნობა) ქალაქის განვითარების მკაფიო ნიმუშს, სტრატეგიულ ხედვას (როგორი ქალაქი უნდა გახდეს თბილისი) და მეტწილად სპორადულ განვითარებაზეა მიმართული;
- მასში სათანადოდ არ არის ინტეგრირებული ქალაქის უმნიშვნელოვანესი ქვესისტემების განვითარების ურთიერთკოორდინირებული სქემები (მაგ. სატრანსპორტო, ინფრასტრუქტურული);
- ის არ არის მიღებული და არ ხორციელდება შესაბამისი ინტერეს-გგუფების (საჯარო სექტორის, კერძო სექტორის/ბიზნესის, სამოქალაქო საზოგადოების), და რაც მთავარია ქალაქის განვითარების სპეციალისტების ურბანისტების, საკმარისი კონსენსუსის



საფუძველზე; ამიტომ, სპეციალისტებისა და საზოგადოების ზოგ წრეებში ხდება გენგემის სრული ან ნაწილობრივი იგნორირება.

ამასთან, დღეს თბილისს გააჩნია სასტარტო შესაძლებლობები, მიიღოს „მსოფლიო ქალაქის ტიპოლოგიური სტატუსი“ ისეთი არსებული ფაქტორების გათვალისწინებით, როგორცაა:

- ა) ქალაქის მზაობა, საკუთარ ტერიტორიაზე განათავსოს თანამედროვე ბიზნესის სახეობები;
- ბ) შრომითი ბაზრის მრავალფეროვნება და სახელმწიფოთაშორისო პერსპექტიული სატრანსპორტო ნაკადებისათვის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა;
- გ) ქალაქში ცხოვრების ხარისხისა და ფასის თანაზომიერება;
- დ) ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო და პირობები;
- ე) კაპიტალის განთავსებისა და ცხოვრების ორგანიზაციის თანამედროვე ინფრასტრუქტურის არსებობა.

ითვალისწინებს რა ზემოთ აღნიშნულს და აგრეთვე იმას, რომ თბილისის მიწათსარგებლობის მოქმედი გენგემის პრინციპები და დებულებები დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური გადაუდებელ აუცილებლობად მიიჩნევს ტერიტორიულ-სივრცითი განვითარების ახალ გამოწვევებსა და პრიორიტეტებზე ორიენტირებულ ხედვაზე დაფუძნებული და საზოგადოების მიერ გაზიარებული პრინციპების შესაბამისად არსებული "გენგემის" განახლებას და ამ მიზნით აცხადებს კონკურსს.

## II. ზოგადი ინფორმაცია

1. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ქ. თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გემის განახლების სამუშაოები.
2. ქ. თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა უნდა დამუშავდეს საქართველოს კანონმდებლობითა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული დავალებით დადგენილი შინაარსითა და მოცულობით.
3. გარდა ამისა, მგგ-ს განახლებისა და სრულყოფის სამუშაოები მოიცავს ქალაქის ტერიტორიის გამოყენების არსებული გემის ("საყრდენი გემის") სამუშაოების შესრულებას.
4. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, როგორც საქართველოს, ისე სხვა ქვეყნის მოქალაქესა და ორგანიზაციას, იურიდიულ პირთა გაერთიანებას ან საერთაშორისო ორგანიზაციას (უცხო ქვეყნების მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისათვის სავალდებულო მოთხოვნას წარმოადგენს ქართველი ქვეკონტრაქტორ(ებ)ის არსებობა), რომელიც აკმაყოფილებს წინამდებარე საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია მუშაობს მგგ-ს სამუშაოებში კვალიფიციური საერთაშორისო კონსულტანტის ან/და საკონსულტაციო ჯგუფის შესაძლო ჩართვაზე, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გემის დამუშავების პროცესში შემსყიდველის მხრიდან რეკომენდაციების გაწევისა და ზედამხედველობის განხორციელების მიზნით.



5. კონკურსში გამარჯვებულებს გამოავლენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისია (შემდგომში - კომისია).

6. საკონკურსო წინადადების წარსადგენად კონკურსში მონაწილე პირი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ანგარიშზე იხდის საფასურს 50 ლარის ოდენობით. ანგარიშის ნომერი მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე [www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge).

7. საკონკურსო განცხადების განთავსება მოხდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდსა [www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ვებგვერდზე [www.tas.ge](http://www.tas.ge).

### III. საკონკურსო პირობები

#### 1. მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების სახელმძღვანელო პრინციპები

თბილისის ურბანული განვითარება უნდა დაეფუძნოს, ერთი მხრივ, საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს („მდგრადი განვითარება“, „კომპაქტური ქალაქი, ჯანმრთელი ქალაქი, მწვანე ქალაქი“) და, მეორე მხრივ, საკუთარ ღირებულებებსა და ტრადიციებს. ამ მხრივ ქალაქის ტერიტორიულ-სივრცითი განვითარება ორიენტირებული უნდა იყოს მის ბუნებრივ და ისტორიულ-კულტურულ უნიკალურობაზე.

#### 2. საკონკურსო წინადადებების შემადგენლობა

1. კონკურსანტი ვალდებულია წარმოადგინოს საკონკურსო წინადადება შემდეგი შემადგენლობით:

- ა) საკვალიფიკაციო მონაცემები;
- ბ) საორგანიზაციო დოკუმენტები და პირობები;
- გ) წინასაპროექტო მოსაზრება (ხედვა).

2. კონკურსში მონაწილე პირმა ამ თავის 1-ლი პუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტაციას უნდა დაურთოს საკონკურსო წინადადების წარმოდგენის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

- ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
- ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

3. აღნიშნული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

4. საკონკურსო წინადადების წარმოდგენის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენლობის შემთხვევაში საკონკურსო წინადადება არ განიხილება.

#### 3. საკვალიფიკაციო მონაცემები

კონკურსანტი ვალდებულია საკონკურსო კომისიას წარმოუდგინოს შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები:

1. კონკურსანტის რეკვიზიტები;



2 პროფესიული გამოცდილება [მსგავსი სახის პროექტებში მონაწილეობა, ავტორობა, თანაავტორობა, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, ტერიტორიის სივრცით მოწყობის სქემის ან ტერიტორიულ-სივრცითი განვითარების სხვა სტრატეგიების, ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების, გეგმებისა და ა.შ. შემუშავების გამოცდილება, სივრცით დაგეგმარების შესაბამისი პროექტების ჩამონათვალითა და ძირითადი ნახაზების (ფოტოები) ჩვენებით, არაუმეტეს 5 გვერდისა (A4) თითოეული პროექტისათვის].

3. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს:

ა) საპროექტო ჯგუფის სრული შემადგენლობა შესასრულებელი სამუშაოს მიმართულებების მიხედვით. წარმოდგენილ სიაში მითითებული უნდა იყოს ჯგუფისა და მიმართულებების ხელმძღვანელი პირების ვინაობა.

ბ) ინფორმაცია ყველა მონაწილის კვალიფიკაციისა და შესრულებული სამუშაოების შესახებ.

გ) უცხოელი პარტნიორი ორგანიზაციის ან სპეციალისტის მონაწილეობის შემთხვევაში, მისი კვალიფიკაციისა და კონკურსში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები (ინგლისურ და ქართულ ენებზე).

4. კონკურსში მონაწილე საპროექტო ჯგუფი დაკომპლექტებული უნდა იყოს (მაგრამ არ შემოიფარგლოს) ქალაქგეგმარების, არქიტექტურის, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, გარემოსა და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, აგრეთვე გეო-საინფორმაციო სისტემების (GIS) კვალიფიციური სპეციალისტებით.

5. გამარჯვებული კონკურსანტის მიმართულებების ან ჯგუფის ხელმძღვანელ(ებ)ის ცვლილება საჭიროებს შემსყიდველთან შეთანხმებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას, გადახედოს ხელშეკრულებას.

#### 4. საორგანიზაციო დოკუმენტები და პირობები

საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილ უნდა იქნეს შემდეგი საორგანიზაციო დოკუმენტები:

1. წინადადებები ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ მომავალში გასაცემი "მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებისა და სრულყოფის" სამუშაოების გეგმარებითი დავალების შესადგენად;

2. სამუშაოს შესრულების პირობები - სამუშაოების შესრულების ეტაპები, ვადები (კალენდარული გრაფიკით)\*.

\* სამუშაოების შესრულების მაქსიმალური ვადა არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 18 თვეს.

3. საპროექტო მომსახურების ხარჯთაღრიცხვა (მთლიანი და სამუშაოთა სახეობების მიხედვით), საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების, მათ შორის, დღგ-ს ჩათვლით.

#### 5. წინასაპროექტო მოსაზრება\* (ხედვა)

საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილ უნდა იქნეს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების წინასაპროექტო მოსაზრება (ხედვა), რომელიც უნდა მოიცავდეს:

1) ანალიტიკურ ნაწილს:

ა) თბილისის სტრატეგიული გეგმის მასალებისა და წინამორბედი "გენგეგმების" გადაწყვეტების ანალიზს - ურბანული განვითარების პრიორიტეტული პრობლემებისა და ობიექტური ტენდენციების გამოვლენას;

ბ) მოქმედი დოკუმენტის ქალაქგეგმარებით ანალიზსა და დასკვნებს.

2) წინასაპროექტო მოსაზრებას (ხედვას):

ა) მოსახლეობის, საპროექტო არეალის, კერძოდ, განსახლების სისტემაში ქალაქის ადგილის, მისი საზღვრების, აგრეთვე მოსაზღვრე ტერიტორიებისა და გავლენის ზონის ფარგლების შესახებ;



- ბ) მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების მიზნებისა და ამოცანების შესახებ;
- გ) დედაქალაქის სივრცით-ტერიტორიული ბალანსის, რეზერვისა და პოტენციალის, ქალაქთმშენებლობითი განვითარების ძირითადი მიმართულებების, საპროგნოზო მონაცემებისა და პრიორიტეტების შესახებ, აგრეთვე „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის (თავი IV, 29-ე მუხლი) შესაბამისად, ტერიტორიის გამოყენებისა და ძირითადი ზონების შესახებ.
- დ) დარგობრივი (თემატური), მათ შორის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის, ბუნებრივი ფასეულობებისა და გარემოსა და რეკრეაციული ტერიტორიების დაცვითი, საცხოვრებელი და სამრეწველო ტერიტორიების, საინჟინრო, სოციალური, ტურისტული, სპორტული, განათლებისა და კულტურის სფეროების ინფრასტრუქტურის, ნარჩენების მართვის, სამხედრო ან/და საწარმოო ტერიტორიების კონვერსიის და სხვა მიმართულებების შესახებ;
- ე) პირველი რიგის „გადაუდებელი რეგულირების“ დოკუმენტების შემუშავების საჭიროების შესახებ;
- ვ) დედაქალაქისათვის სპეციფიკური ზონების (ქვეზონების) დადგენის შესახებ;
- ზ) ინტეგრირებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების შესახებ;
- თ) ლანდშაფტის დაგეგმარების შესახებ;
- ი) მიღებული გადაწყვეტების რეალიზაციის სტრატეგიის შესახებ;

*\*ანალიტიკური ნაწილი და წინასაპროექტო მოსაზრება (ხედვა), უნდა მოიცავდეს გრაფიკულ ნაწილსაც რუკებისა და/ან სქემების სახით.*

*\*\* „გადაუდებელი რეგულირების“ დოკუმენტების შემუშავების მიზანია, მგგ-ს სამუშაოების დამთავრებამდე წინმსწრებად უზრუნველყოს "ხედვით" გათვალისწინებული დედაქალაქის განვითარების ძირითადი პრინციპებისა და პრიორიტეტების დაცვა.*

## 6. საკონკურსო წინადადების წარმოდგენა

1. საკონკურსო წინადადება შედგენილ უნდა იქნეს ქართულ და ინგლისურ ენებზე.
  2. საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს A-4/A-3 ფორმატის აკინძული ალბომის სახით, შემდეგი თანმიმდევრობით:
    - სათაური;
    - სატიტულო ფურცელი, დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით, ხელმძღვანელისა და წინადადების ავტორების ხელმოწერებით;
    - ალბომის შემადგენლობა;
    - შესაბამისი ტექსტური ნაწილ(ებ)ი, დადასტურებული ავტორ(ებ)ის მიერ;
    - გრაფიკული ნაწილები;
    - სხვა დამატებითი ინფორმაცია, საჭიროებისამებრ.
- ყველა ფურცელი უნდა იყოს დადასტურებული ხელმძღვანელის, ავტორ(ებ)ის/შემსრულებლ(ებ)ის ხელმოწერებით.
3. საკონკურსო წინადადება უნდა მოიცავდეს:
    - 3.1. რეკვიზიტებს:
      - კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება;
      - ხელმძღვანელის სახელი და გვარი;
      - კონკურსანტის იურიდიული მისამართი;
      - კონკურსანტის ფაქტიური მისამართი;
      - საიდენტიფიკაციო კოდი;
      - კონკურსანტის ტელეფონის ნომერი;
      - ელექტრონული მისამართი;
      - საბანკო კოდი;



- ანგარიშწორების ანგარიში.
- 3.2. საპროექტო მომსახურების შესყიდვის ფასს;
- 3.3. საპროექტო მომსახურების განხორციელების ვადას;
- 3.4. ავანსის გამოყენების შემთხვევაში, საავანსო თანხის ოდენობას პროცენტულად;
- 3.5. კონკურსანტის ყველა არსებით (სავალდებულო) მოთხოვნას ხელშეკრულებისა და საპროექტო მომსახურების განხორციელების მიმართ.
- 3.5. მონაწილე პირების CV-ებს;
- 3.6. მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას;
- 3.7. ხელმძღვანელის და მიმართულებების სპეციალისტების ხელმოწერას.
- 4. საკონკურსო წინადადება წარმოდგენილ უნდა იქნეს დახურულ კონვერტში, ნაბეჭდი ხელმოწერილი ორიგინალისა (სამ ეგზეპლარად) და მისი ელექტრონული ასლების სახით (ასევე სამ ეგზემპლარად, PDF ფორმატში).
- 5. საკონკურსო წინადადება წარმოდგენილ უნდა იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში კანცელარიის მეშვეობით (მისამართი: საქართველო, თბილისი 0160, შარტავას 7).
- 6. საკონკურსო წინადადება წარმოდგენილ უნდა იქნეს არაუგვიანეს: **2015 წლის 1 აგვისტო, 15:00 საათი თბილისის დროით.**
- 7. ნაბეჭდსა და ელექტრონულ დოკუმენტაციას შორის შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ნაბეჭდ ორიგინალს.

**7. კონკურსანტისათვის ხელმისაწვდომი მასალა**

კონკურსში მონაწილე პირებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ვებგვერდზე ([www.tas.ge](http://www.tas.ge)) შეუძლიათ მიიღონ შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

1. არსებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მასალები;
2. ქ. თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ოპერატიული ეტაპის - "მიწათსარგებლობის (ოპერატიული) გენერალური გეგმის" დამუშავების პროგრამა-დავალება, 2007 წელი;
3. სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტები;
4. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2014 წელს ჩატარებული საექსპერტო ანალიზის მასალები; „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის რეალიზაციის შესახებ“ (2009-2014 წლების მდგომარეობა);
5. 1990 წელს ჩატარებული კონკურსის მასალები;
6. ქ. თბილისის გენგეგმის კონცეფციაზე 2002 წელს ჩატარებული კონკურსის შედეგების შემაჯამებელი დოკუმენტი, ე. წ. „შეჯერებული კონცეფცია“;
7. 1990-2002 წლებში ჩატარებული კონკურსების შედეგებითი ანალიზი;
8. ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა 2007 წ. (რუკა და ჩამონათვალი);
9. გერმანულ-ქართული პროექტი „მიწის მენეჯმენტი საქართველოში“, 2006 წელს შესრულებული „ქ. თბილისის მიწათსარგებლობის დაგეგმარების მონიტორინგი და მიმდინარე ვითარებაში მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავების ძირითადი მიმართულებები“;
  - ძირითადი ტექსტი
  - ქ.თბილისის გარემოსდაცვითი პრობლემები
  - ინფორმაცია 1970-2000 წლებში გენგეგმის რიგი პოზიციების შესახებ
10. "სატრანსპორტო გენერალური სქემის წინასწარი კვლევა" - "R+T" Topp, Skoupil, Huber-Erler - 2006 წელი;
11. ევროპის ეკონომიკური კომისიის 2008 წლის დოკუმენტი "ტერიტორიულ-სივრცითი დაგეგმარება";



12. საქართველოს კანონი „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“;
13. საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“;
14. „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები“ დამტკიცებული ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის № 4-13 გადაწყვეტილებით;
15. სამშენებლო ნორმები და წესები 2.07.01.89 – ქალაქთმშენებლობა;
16. “ქალაქ თბილისის განვითარების სტრატეგიის (საბოლოო ანგარიში) ექსპერტიზა“ – თბილისი, 2015 წელი;
17. შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმების მონაცემები,
18. თბილისის ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასების მიზნით ბოლო დროს ჩატარებული კვლევები;
19. თბილისის სატრანსპორტო სისტემის შეფასების მიზნით ბოლო დროს ჩატარებული კვლევები;
20. თბილისის ქალაქგანვითარების თემაზე შესრულებული სადოქტორო დისერტაციები.

#### IV. კონკურსის საორგანიზაციო პირობები

##### 1. ზოგადი ნაწილი

1. საკონკურსო კომისიის მუშაობის პროცესში კონკურსანტებს მიეცემათ პრეზენტაციის ჩატარების საშუალება.
2. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი მასალები, საჯარო გაცნობის მიზნით, ატვირთული იქნება სამსახურის ვებგვერდზე ([www.tas.ge](http://www.tas.ge)).
3. წარმოდგენილი საკონკურსო მასალები რჩება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში და კონკურსანტებს არ უბრუნდებათ.
4. დაგვიანებით შემოსული საკონკურსო დოკუმენტაცია არ განიხილება და დაუბრუნდება წარმომდგენ პირებს.

##### 2. გამარჯვებულ(ებ)ის გამოვლენა

საკონკურსო წინადადებების განხილვა და გამარჯვებულ(ებ)ის გამოვლენა მოხდება საკონკურსო წინადადებების წარმოდგენის ვადის დასრულებიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში.

##### 3. საკონკურსო წინადადებების შეფასებისა და გამარჯვებული კონკურსანტ(ებ)ის გამოვლენის პირობები.

1. კონკურსანტის მიერ საკონკურსო განაცხადის შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასება მოხდება 100-ქულიანი სისტემით, შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:
  - ა) წინასაპროექტო მოსაზრება (ხედვა) – მაქსიმუმ 35 ქულა. კონკურსზე წარმოდგენილი წინასაპროექტო მოსაზრება-ხედვა შეფასდება მისი ქალაქგეგმარებითი ღირებულებისა და მიღებული გადაწყვეტილებების რეალიზაციის სტრატეგიის ეფექტურობის გათვალისწინებით.
  - ბ) გეგმარებითი დაგეგმვის პროექტის წინადადებები – მაქსიმუმ 20 ქულა;
  - გ) კონკურსში მონაწილის პოტენციალი: გამოცდილება, განხორციელებული ანალოგიური პროექტები და სპეციალისტების კვალიფიკაცია – მაქსიმუმ 25 ქულა. კომპლექსურად შეფასდება ორგანიზაციის პოტენციალი – მისი სტრუქტურული მოწყობის, მენეჯმენტის, პერსონალით დაკომპლექტების, ტექნიკური აღჭურვის დონისა და ფინანსური შესაძლებლობების მიხედვით. შეფასდება წარმოდგენილი დაგეგმარების ჯგუფის წევრების კვალიფიკაცია, მათი რეზიუმეების (CV), დიპლომების, სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი საბუთებისა და სერტიფიკატების საფუძველზე. შეფასებული იქნება წარმოდგენილი ინფორმაცია ქალაქგეგმარების სფეროში ორგანიზაციისა და მისი წევრების გამოცდილებისა და შემუშავებული პროექტების შესახებ. ამდენად, მნიშვნელოვანი იქნება სრულფასოვანი და ზუსტი ინფორმაციის მოწოდება. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა, კონკურსის ორგანიზატორის მოთხოვნის შესაბამისად, მონაწილის შემადგენლობაში ქალაქთმშენებლობის სფეროში მოღვაწე, მაღალი პროფესიული დონისა და დიდი გამოცდილების მქონე უცხოური პარტნიორი ორგანიზაციის ან უცხოელი სპეციალისტების ჯგუფის





არსებობას. აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურ და ქართულ ენებზე.

დ) საპროექტო მომსახურების - დედაქალაქის გენერალური გეგმის დამუშავების ღირებულება (ხელშეკრულების ღირებულება) და სამუშაოს შესრულების ეტაპები და ვადები - მაქსიმუმ 20 ქულა. საკონკურსო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

#### 4. კონკურსის შედეგების გამოცხადება

1. კონკურსის შედეგების გამოცხადება მოხდება გამარჯვებულ(ებ)ის გამოვლენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

### V. საკონკურსო კომისია

1. კონკურსში გამარჯვებულ(ებ)ს გამოავლენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცებული საკონკურსო კომისია.
2. კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს კომისიის აპარატი.
3. კომისიას ჰყავს მდივანი აპარატის შემადგენლობიდან. კომისიის მდივანი უზრუნველყოფს განსახილველი საკითხების ტექნიკურ მომზადებას და კომისიის ოქმის შედგენას.
4. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
5. კომისია კონკურსსანტებს აფასებს წინამდებარე პირობების IV თავის მე-3 პუნქტით დადგენილი კრიტერიუმებით.
6. ორი ან რამდენიმე კონკურსანტის მიერ თანაბარი რაოდენობის ქულების დაგროვების შემთხვევაში, კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გამამწყვეტია კომისიის თავჯდომარის ხმა.
7. კომისიის თავჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს კომისიის თავჯდომარის მოადგილე.
8. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი და მდივანი.

### VI. წინასაპროექტო მოსაზრების (ხედვის) შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება

ხელშეკრულების გაფორმების პირობები.

1. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შეფასების შედეგად გამოავლინოს 3 (სამი) გამარჯვებული.
2. გამარჯვებულ კონკურსანტებთან შემსყიდველი ორგანიზაცია უზრუნველყოფს ხელშეკრულებების გაფორმებას საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი მათი წინასაპროექტო მოსაზრების (ხედვის) შესყიდვის მიზნით.
3. წინასაპროექტო მოსაზრების (ხედვის) შესყიდვის ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით შეადგენს:  
I ადგილისათვის: 50 000 ლარი;  
II ადგილისათვის: 30 000 ლარი;  
III ადგილისათვის: 20 000 ლარი;
4. გამარჯვებულ კონკურსანტებთან ხელშეკრულებების გაფორმება იწარმოებს შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებით საავტორო უფლებების საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სრული მოცულობით გადაცემისა და შესყიდვის ღირებულების გადახდის მიზნით.





## IX. განსაკუთრებული პირობები

შესრულებული საპროექტო მომსახურების, როგორც წინასაპროექტო მოსაზრების (ხედვის), ასევე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ავტორ(ებ)ი იღებენ უპირობო ვალდებულებას, შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, ქ. თბილისის თვითმმართველ ერთეულს გადასცენ საავტორო უფლებები საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სრული მოცულობით, მათ შორის, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ქონებრივი უფლებები და ამავე კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლება, ქ. თბილისის თვითმმართველმა ერთეულმა შეიტანოს ცვლილებები ნაწარმოებში, ასევე, გამოიყენოს ნაწარმოები, მოახდინოს მისი დაყოფა, დაკორექტირება და სხვა, თავისი შეხედულებისამებრ, ავტორის ყოველგვარი დამატებითი თანხმობის გარეშე.

## X. კონკურსის გასაჩივრება

1. კონკურსანტს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე შეუძლია გაასაჩივროს შემსყიდველი ორგანიზაციის ან საკონკურსო კომისიის ქმედება შემსყიდველ ორგანიზაციაში ან სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში, თუ მიაჩნია, რომ კონკურსის ჩატარებისას დაირღვა კანონით და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესები ან/და შეილახა მისი უფლებები.
2. კონკურსის თავისებურებათა გათვალისწინებით, კონკურსთან დაკავშირებული დავის განხილვა ხდება „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესის შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 30 ნოემბრის № 11 ბრძანების შესაბამისად.

სამსახურის უფროსის დროებით  
მოვალეობის შემსრულებელი



ნინო ლოდობერიძე